



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 73

ქ. თბილისი

5 ივნისი 2018წ.

2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ

„თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 24 ნოემბრის N155 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პროგრამა და პირობების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის სპეციალისტის 2018 წლის 31 მაისის სამსახურებრივი ბარათის (N651059) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

დამტკიცებულია
 სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
 ფონდის გენერალური დირექტორის
 2018 წლის 5 ივნისის N73 ბრძანებით

№	პროექტის სახელწოდება	მოხსნის მიზეზი
1	კლიმატური ცვლილებების შედეგად შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის ფიტოპლანქტონის არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები	დარღვეულია 2016 წლის 9 ივნისის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №55/ნ ბრძანება (მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის ა“ ქვეპუნქტი) და კონკურსის პირობები: პირველ წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 15000 ლარს;
2	საქართველო-თურქეთის საზღვრის გასწვრივ მაღალმთიანეთში (იალებში) ეთნობოტანიკური ცოდნის დოკუმენტირება და სამკურნალო და არომატული მცენარეების პოპულაციური სტატუსის შეფასება	დარღვეულია 2016 წლის 9 ივნისის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №55/ნ ბრძანება (მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის ა“ ქვეპუნქტი) და კონკურსის პირობები: პირველ წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 15000 ლარს;
3	თურქეთისა და საქართველოს შერჩეული გეოთერმული უბნების შედარებით კვლევა	დარღვეულია 2016 წლის 9 ივნისის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №55/ნ ბრძანება (მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის ა“ ქვეპუნქტი) და კონკურსის პირობები: პირველ წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 15000 ლარს;
4	ინვაზიური ფქვილისებრი ცრუფარიანების (Hemiptera:Pseudococcidae) და მათი ბუნებრივი მტრების გამოკვლევა საქართველოში, მორფოლოგიური და მოლეკულური მეთოდების გამოყენებით	დარღვეულია 2016 წლის 9 ივნისის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების №55/ნ ბრძანება (მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის ა“ ქვეპუნქტი) და კონკურსის პირობები: პირველ წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 15000 ლარს;
5	„ინტეგრირებადი მოდელები: სტატისტიკური მექანიკიდან სიმის თეორიამდე	დარღვეულია 2016 წლის 9 ივნისის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №55/ნ ბრძანება (მე-2 მუხლის „ფ“ პუნქტი)